გამარჯვება, რომელსაც უკმარისობა დაჰყვა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 7 მაისი. 47757 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “მეტალისტი” (ხარკოვი) 1:0.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, პაიკიძე, არზიანი, კაკილაშვილი, ჟორდანია, სულაქველიძე, გუცაევი, ჟორჟიკაშვილი, შენგელია.

“მეტალისტი”: სივუხა, მოტუზი, კუზნეცოვი, სუსლო, ლედნეი, კრამარენკო, იაკუბოვსკი, მედვიდი, სააკოვი, ტალკო, ბონდარენკო.

89–ე წთ. შენგელია.

13–ე წთ. ტალკოს ნაცვლად – ლინკე, 64–ე წთ. ჟორდანიას ნაცვლად – ცაავა, მე–80 წთ. კრამარენკოს ნაცვლად – ბრატჩიკოვი.

მსაჯი: ვლადიმერ კუზნეცოვი (ომსკი).

გააფრთხილეს: ბრატჩიკოვი.

კარში დარტყმა: 22:12 (15:6), ზუსტი – 10:3 (5:1), საჯარიმო მოედნიდან – 12:4 (9:2).

კუთხური: 8:7 (4:4).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 12 (6), ხარკოველები – 21 (12).

გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. თქმა არ უნდა, არც არავინ აპირებს ვინმეს გასამართლებას, მით უმეტეს, მოგებული თამაშისთვის, მაგრამ გუშინდელმა მატჩმა ხარკოვის “მეტალისტთან” მაინც დატოვა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. თბილისის “დინამოს” ჰქონდა გოლის გატანის იმდენი შესაძლებლობა, არა ერთსა და ორ მატჩს რომ ეყოფოდა. ეს ჭეშმარიტებაა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასევე არა ერთსა და ორ მატჩს ეყოფოდა შეცდომები, დინამოელებს რომ მოსდიოდათ. აი, ამ საფეხბურთო ღირსებასა და ნაკლზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე მინდა ვესაუბრო მკითხველს. სარეცენზიო მატჩი ამგვარი კუთხით მსჯელობისა თუ ფიქრის საშუალებას ნამდვილად იძლევა.

გუშინდელ შეხვედრაში მასპინძლებმა მართლაც ბევრი საგოლე სიტუაცია შექმნეს. პირველ ტაიმში მარტო შენგელიას სულ ცოტა ექვსჯერ შეეძლო თავი გამოეჩინა მე–7, მე–9, ორჯერ მე–13, 39–ე და მე–40 წუთებზე. ყველა ამ შემთხვევაში ფორვარდი მეტოქის კარის უშუალო სიახლოვეს იმყოფებოდა. ხელსაყრელ ვითარებაში იყვნენ ჟორდანია, ჟორჟიკაშვილი და კეტაშვილი. კეთილი და პატიოსანი; მაგრამ თავი რომ არ მოვიტყუოთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საგოლე მომენტების ამ სიუხვეს მარტო დინამოელთა კარგ თამაშს ვერ მივაწერთ. ზედიზედ სამი მატჩის წაგების შემდეგ “მეტალისტი” როგორღაც მორალურად დათრგუნვილი გამოიყურებოდა. თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გუნდი, რომ იტყვიან “იდგა”. ასეა თუ ისე, გოლი მაინც უნდა გაგვეტანა და ასე რომ არ მოხდა, ისევ და ისევ ჩვენი ფეხბურთელების ბრალია. უფრო სწორად, უზუსტობისა, განსაკუთრებით თვალსაჩინო რომ ხდებოდა შეტევის დამამთავრებელ ფაზაში. “მეტალისტი” მართლაც უნდილად იცავდა თავს და გამოცოცხლება მაშინღა დაეტყობოდა, ბურთს რომ ჩაიგდებდა. სტუმართა კონტრშეტევები საკმაოდ სახიფათო იყო. “მეტალისტის” შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნახევარმცველი მედვიდი და

ფორვარდი ბონდარენკო. ნახევარმცველის აქტიური თამაში, ეტყობა, კაკილაშვილის "რბილმა" მეურვეობამაც განაპირობა.

გაცილებით სუსტად ითამაშეს თბილისელებმა მეორე ორმაცდახუთი წუთი. "მეტალისტმა" იგრძნო, რომ მეტოქე არც ისე საშიში იყო და უფრო გაბედულად და ხშირად უხმობდა ასეთ შემთხვევაში ყველაზე ნაღდ იარაღს – კონტრშეტევას. ოთხჯერ – 58–ე, 74–ე, მე–80 და 85–ე წუთებზე მასპინძელთა კარში გოლის გატანის შანსი დაკარგეს სააკოვმა, ბონდარენკომ და ტალკოს ნაცვლად მინდორზე გამოსულმა ლინკემ. გოლის გატანის სურვილსა და მცდელობას კაცი ვერც თბილისელებს დაუკარგავ, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ეპიზოდური ხასიათისა იყო. უამრავმა შეცდომამ გადაცემებში მასპინძლებს არ მისცა საშუალება ვადაზე გაესწორებინათ ანგარიში მეტოქესთან. და მხოლოდ მატჩის მიწურულს ცაავას მიერ ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ "მეტალისტის" საჯარიმოში წარმოქმნილი არეულობისას იმარჯვა შენგელიამ – ძლიერი და ზუსტი დარტყმით გამარჯვება მოუტანა გუნდს. რაღა თქმა უნდა, უსაფუძვლო გამოდგა ხარკოველთა პროტესტი საპასუხო გოლის თაობაზე – თამაშისთვის განკუთვნილი 90 წუთი ნამდვილად ამოწურული იყო.

ახლა ორიოდ სიტყვა შეცდომებზე, რომლის თავიდან აცილება თბილისელებს, ჩემი აზრით, ნამდვილად შეეძლოთ. ვერ გაამართლა ცენტრალურ ნახევარმცველთა ტანდემმა (სულაქველიძე–ჟორდანია). ამგვარი წყვილი, არა მარტო ფეხბურთში, სპორტის სხვა სათამაშო სახეობებშიც გულდასმით და სავსებით გარკვეული მიზანდასახულობით ირჩევა. ერთი მათგანი კონსტრუქციული სტილის მოთამაშეა, მეორე – პირიქით, დესტრუქციული. სადად თუ ვიტყვით, ერთი ქმნის, მეორე შლის. რა თქმა უნდა, ეს მაინც ძირითადი თვისებებია, თორემ კარგი პასი და მეტოქისთვის ბურთის წართმევა უმაღლესი ლიგის ნებისმიერ ფეხბურთელს უნდა შეეძლოს. ზემოხსენებული წყვილი ერთ შეხედვით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. სამწუხაროდ, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ეს წონასწორობა დაირღვა. პირველ ტაიმშივე ნათელი გახდა, რომ თამაშის წარმმართველის ფუნქციებს ჟორდანია ვერ აუდიოდა, სულაქველიძის სტილსა და შესაძლებლობებსაც ვერ ერგება ეს ამპლუა და... რა გასაკვირია, რომ "დინამოს" თამაშში თანდათანობით იჩინა თავი გაუმიზნავმა მოქმედებამ.

მატჩის დამთვრებამდე 25 წუთით ადრე მინდორზე გამოდის ცაავა. ამ, ვფიქრობ, დაგვიანებული შეცვლის მოტივირება ერევანში სუსტი თამაშით არა მგონია სწორი იყოს. ცაავა ნამდვილად არ გამოირჩევა ფიზიკური ძალით, მაგრამ სხვაა, ერევანში, ჟანგბადის აშკარა უკმარობის პირობებში თამაში, და, სულ სხვა აქ, თბილისში – სიმაღლეთა სხვაობა ხომ თითქმის 700 მეტრია.

მასპინძელთა შეტევებს სიმძაფრე მოაკლო საიერიშო ფრონტის დავიწროებამაც. თუ პირველ ტაიმში "დინამო" საკმაოდ ხშირად იყენებდა ფლანგებს, მეორეში თითქმის ყველა ნახევარმცველი და ფორვარდი ცენტრიდან ცდილობდა მეტოქის საჯარიმოში შეჭრას. მეტისმეტად ერთობოდნენ ფეხბურთელები ინდივიდუალური თამაშითაც.

საფეხბურთო სეზონის დაწყებიდან ერთბაშად ამდენი პრეტენზია ჩვენი გუნდის მისამართით ვგონებ არ გამოგვითქვამს. არადა, გამარჯვებულებს მართლა არ ასამართლებენ. თუმცა, ისიც ხომ სათქმელია, რომ საყვედური და კრიტიკაც მაშინ უფრო იოლია, როცა საქმე შედარებით კარგად გვაქვს. სიტყვა "შედარებით" ხმარების

უფლებას კი გუშინდელ მატჩში მოპოვებული, გუნდისთვის აგრერიგად საჭირო ორი ქულა ნამდვილად იძლევა.

ირაკლი ბერიაშვილი.

დუბლიორთა მატჩი

6 მაისს გაიმართა თბილისის “დინამოსა” და ხარკოვის “მეტალისტის” დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი.

დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს სიჭინავამ, ჩქარეულმა და ცხოვრებაშვილმა.

თბილისელთა შემადგენლობა: ქანთარია, მიქაბერიძე, მახარაძე, უკლება, ჩიქოვანი, ცხოვრებაშვილი, სიჭინავა, ქოჩქიანი, გოგრიჭიანი, ჟვანია, ჩქარეული.

“ლელო”, 8 მაისი, 1984 წ.